ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 აპრილი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 78 (9745) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ლერი ხაბელოვი ევროპის ჩემპიონია

**მანჩესტერი.** საბჭოთა ათლეტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში. ათიდან ცხრა ოქროს მედალი სწორედ მათ დარჩათ. ასეთი უპირატესობისთვის ევროპის ჩემპიონატში, არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია. არა და, ასპარეზობაში ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა მონაწილეობდა — ოცდახუთი.

ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს: კიეველმა სერგეი ბელოგლაზოვმა (57 კგ), გროზნოელმა ადლან ვარაევმა (74 კგ), თბილისელმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ), ტაშკენტელებმა არსენ ფაძაევმა (68 კგ), მახარბეკ ხადარცევმა (90 კგ) და მისმა უფროსმა ძმამ ასლანმა (130 კგ).

ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, აგრეთვე, ნაკრების ვეტერანმა კიროვაკანელმა სტეფან სარქისიანმა (62 კგ). ორწლიანი შესვენების შემდეგ კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავის სახელი დაიბრუნეს იაკუტსკელმა ვასილი გოგოლევმა (48 კგ) და მოსკოველმა იური ვორობიოვმა (82 კგ).

ერთადერთი მოჭიდავე, რომელსაც არ ერგო უმაღლესი ჯილდო, ორჯონიკიძელი ვლადიმერ თოგუზოვია (52 კგ), მაგრამ უმედლოდ არც ის დარჩენილა, თოგუზოვს ვერცხლის ჯილდო გადაეცა.



# ქართველ გოგონათა გამარჯვება

16 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი ბაქოში, ქართველ მოჭადრაკეთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.



სოფიკო ტერელაძე.

ბოლო, XIII ტურში ოსტატი ქეთევან კახიანი თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა აზერბაიჯანელ ოსტატობის კანდიდატ ნიგენ სულთანოვას.

მეტოქეებმა ჰოლანდიური დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს. კახიანი დებიუტშივე დაეუფლა ინიციატივას. შემდეგ მან ფიგურაც მოიგო და აიძულა მეტოქე დანებებოდა. ქეთევანმა ჩინებული შედეგით 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა. მან მხოლოდ 3 პარტია დაამთავრა ყაიმით, დანარჩენი კი მოიგო.

გთავაზობთ ბოლო, XIII ტურის ტექნიკურ შედეგებს: ლანჩავა-დომარკაიტე — 0:1 ჯანჯლავა-ლევიტანი — 0:1, ტერელაძე-სოკოლოვა — 0,5:0,5, ბელაკოვსკაია-ერმოლინსკაია — 1:0 გადაიდო ველიხანლი-სკუინიასა და დიომინა-სოფიევას პარტიები.

ამრიგად, ცნობილი გახდა II და III ადგილების მფლობელთა ვინაობაც. II ადგილს დაეუფლა ბაქოელი ოსტატი აინურ სოფიევა, მას, მართალია, გადადებული პარტია აქვს, მაგრამ იგი თეორიულად არაფერს ცვლის. რაც შეეხება III ადგილისთვის ბრძოლას, 8-8 ქულა მოაგროვეს ლაიმა დომარკაიტემ (ლიტვა) და ნადეჟდა ბელაკოვსკაიამ (უკრაინა). კოეფიციენტით III ადგილს დომარკაიტე დაეუფლა.

16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის ერთადერთი საგზურის მფლობელის ვინაობა უცნობი დარჩა, რადგან თანაბარი — 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს სამტრედიელმა ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ და ბელორუსიელმა ოსტატობის კანდიდატმა იულია ლევიტანმა, ვის შეხვდება საგზური, ამას საბჭოთა კავშირის სპორტსახკომი გადაწყვეტს.

ტურნირში მთლიანად ვერ გამოამჟღავნეს თავიანთი შესაძლებლობა და უნარი თეა ლანჩავამ,

იხ. მე-4 გვ.

ტურნირში 25 ქვეყნის 59 სპორტსმენი მონაწილეობდა.

## ცელეფაიკა-მკითხველი

**კარლსრუე.** მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მხატვრულ ტანვარჯიშში, 17 წლის ბულგარელმა ბიანკა პანოვამ გაიმარჯვა გფრ-ის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მან 39,95 ქულა მოაგროვა. 0,05 ქულით ნაკლები ჰქონდა მის თანაგუნდელ ადრიანა დუნავსკას. მესამე ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი მარინა ლობაჩი — 39,85.

**მონტე-კარლო.** გამარჯვებით დაიწყო გამოსვლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჩოგბურთში ანდრეი ჩესნოკოვმა მონტე-კარლოს ღია ჩემპიონატში. ჩესნოკოვი ტურნირში მე-2 ტურიდან ჩაება და შვედი ჩოგბურთელი ულფ სტენლუნდი დაამარცხა — 6:3, 6:2. შეჯიბრება ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ უკვე მოხდა სენსაცია: უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი (გფრ) დამარცხდა ჩეხოსლოვაკიელ მარიან ვაიდასთან — 3:6, 7:5, 1:6.

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**მშვილდოსნობაში** — დავით ლეკვეიშვილს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), ნუგზარ ბასილაძეს (ზელვაჩაური, პროფკავშირები).

**ველოსპორტში** — სტელა პრიახინას (ქობულეთი, პროფკავშირები), ვახტანგ პაპუაშვილს, პაატა ელიაშვილს, მამუკა გვარაძეს (სამივე — თბილისი, ასკ).

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „მგზავრები... ქარიშხალში“

„ლელოს“ 22 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „მგზავრები... ქარიშხალში“, სადაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ 20 მარტს, გვიან ღამით, მგზავრებს თბილისის აეროპორტში ვერ გაუწიეს სათანადო მომსახურება. სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოდან გვაცნობეს:

**„20 მარტს თბილისის აეროპორტში რთული მეტეოპირობები იყო (ქარიშხალი და თოვლჭყაპი), რამაც შეაფერხა აეროპორტის მუშაობა და გააძნელა მგზავრთა დროული მომსახურება, თვითმფრინავთა გადმოტვირთვა და მგზავრების პერონიდან აეროპორტში მიყვანა.**

**ასეთ ვითარებაში გადაზიდვის ცვლის უფროსმა ვერ შეძლო მომსახურების ოპერატიული ორგანიზაცია — № 6882 რეისის მგზავრებს პერონზე არ დახვედრა ავტობუსი, დააგვიანა ბარგის გადმოტვირთვა, რის გამოც, ამ რეისით მგზავრთა ნაწილი, მათ შორის სპორტსმენები, იძულებულნი შეიქნენ ავდარში ფეხით მისულიყვნენ გასასვლელამდე და საკმაოდ დაგვიანებით მიეღოთ ბარგი.**

**ეს შემთხვევა განვიხილეთ აეროპორტის გადაზიდვის სამსახურის ცვლების თანამშრომლებში. მათ მკაცრად მიეთითათ, რომ განუხრელად დაიცვან მგზავრთა მომსახურების მოთხოვნები. გადაზიდვის ორგანიზაციის სამსახურის ცვლის უფროსს ს. პოლოსოვს გამოეცხადა საყვედური.**

**კიდევ ერთხელ გადაისინჯა და დაზუსტდა მგზავრთა მომსახურების განაწესი, განსაკუთრებით კი რთულ სიტუაციაში — რეისების დაგვიანებისა და უამინდობის დროს.**

**20 მარტს № 6882 რეისის მგზავრებს ბოდიშს ვუხდით მიყენებული უსიამოვნებისათვის“.**

**პ. ქაძანაია,**
**სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.**



**ასეთი** დიფერენცირებული ტურნირი თბილისში, ალბათ, ჯერ არ გამართულა. წარმოიდგინეთ, დინამოელ ჭაბუკ ხუთჭიდელთა ამ საკავშირო ასპარეზობაზე მედლების 3 კომპლექტისათვის გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ 1970-71 წლებში და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები.

უფროსები ხუთჭიდის მთლიან „პროგრამას გაივლიან“, 1971 წელს დაბადებულნი ოთხჭიდში (ფარიკაობა, სროლა, ცურვა, რბენა) იასპარეზებენ, უმცროსები კი სამჭიდში — (სროლა, ცურვა, რბენა) ცდიან ძალებს.

მონაწილეთა უმრავლესობა იმ ასაკისაა, რომლებიც წელს ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში იასპარეზებენ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# გალელებს თუ მიბაძავენ...

## საქართველოს აბსოლუტური პირველობა ცხენოსნობაში



სურათზე: გალის რაიონის ჭაბუკი მხედრები (მარცხნიდან) — ზვიად ანჩაბაძე, ოთარ ხურცილავა, ოთარ გვაჯავა და რობერტ ქეცბაია. მარჯვნივ — მწვრთნელი მარლონ ლაბაშია.

თამაზ ქიქავას ფოტო

**საცხენოსნო** სპორტისადმი ინტერესი ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენს რესპუბლიკაში. თითქოს ახალი სიცოცხლე შეიძინა საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივმა დადგენილებამ „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ“, რომელიც ამ 8 წლის წინათაა მიღებული. ადრე უკვე ვიუწყებოდით, ჩვენში ახალი საცხენოსნო ცენტრების შექმნის შესახებ, ზოგან ახლა წყდება ეს საკითხი, მათ შორის ქუთაისში, რუსთავში, გორში...

რესპუბლიკის აბსოლუტურმა პირველობამ დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისის იპოდრომის ჩინებულ, საგანგებოდ ხტომებისათვის მოწყობილ არენაზე, ახალი საცხენოსნო კლუბები ჯერ-ჯერობით ვერ გაგვაცნო. ისევ ძველი და ერთმანეთისთვის კარგად ნაცნობი მეტოქეები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ამას გუნდებზეც ვამბობთ და მხედრებზეც — ასაკობრივი ცენზის შეზღუდვის გაუქმებამ კვლავ დაუბრუნა სარბიელს მხედრები, რომლებსაც არაერთხელ დაუცავთ რესპუბლიკის სპორტული ღირსება საკავშირო შეჯიბრებებში. საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება დაბრკოლებათა გადალახვაში სწორედ ვეტერანმა მხედარმა, ზუგდიდელმა ოთარ ჯაფარიძემ მოიპოვა.

ამ შეჯიბრებაზე ყველაზე სოლიდურად, ისევე როგორც წელს გამართულ სხვა ასპარეზობებში, წარმოდგენილი იყო გალის რაიონი.

არა, გალელ მხედრებს აბსოლუტური პირველობის გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის ვერ ნახავთ. მაგრამ ის, რაც ამ რაიონმა გააკეთა, უდავოდ ქებას იმსახურებს და სხვების სამაგალითოდაც გამოდგება. საქმე იმაშია, რომ გალის რაიონმა ბოლო ხანებში რამდენიმე საუკეთესო ცხენი შეიძინა, საცხენოსნო კლუბს (დირექტორი კ. გოგუა) კვლავ დაუბრუნდა შესანიშნავი სპეციალისტი მარლონ ლაბაშია და ისევ გამოცოცხლდა მუშაობა. ჯერჯერობით რაიონს მაღალი კლასის მხედრები არა ჰყავს, ამას დრო უნდა. და აი, გონივრული გადაწყვეტილება: ვიდრე რაიონში ჭაბუკები დაოსტატდებიან, გალელებმა მერნები სხვა რაიონების მხედრებს დაუთმეს. ახლა საქართველოს ნაკრებ გუნდში გალის საცხენოსნო კლუბის 8 ცხე-

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კამათში იბადება ჭეშმარიტება**

# ისევ ადრეული სპეციალიზაციის შესახებ

**„ლელოს“ 1987 წლის 14 მაისის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ საქართველოს მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში ქალთა ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებთან ნელი სალაძესთან, რუსუდან სიხარულიძესთან და ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ არჩილ ხომასურიძესთან. ამ ინტერვიუს თაობაზე ჩვენს გაზეთში პოლემიკური წერილი გამოაქვეყნა თბილჯანდაცვის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა სამკურნალო ფიზკულტურასა და სპორტში, დოცენტმა ოთარ ვირუბოვმა. ახლა კი გთავაზობთ ა. ხომასურიძის პასუხს აღნიშნულ გამოხმაურებაზე.**



სინანულის გრძნობას იწვევს ო. ვირუბოვის წერილი, რომელიც „ლელოს“ ა. წ. 26 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა სათაურით „კარგია თუ არა, რომ სპორტი ახალგაზრდავდება“ და ეძღვნება ჩვენი ინტერვიუს „კრიტიკას“. მაგრამ ეს სინანული თავისებურია იმიტომ, რომ ავტორის მიერ დასმული საკითხის არსი სწორია. დასანანია მარტო ის, რომ იგი გვაკრიტიკებს იმავე მოსაზრებებისათვის, რასაც თვითონვე გამოთქვამს. სამწუხაროა, რომ ავტორი ღრმად ვერ ჩასწვდა ჩვენს მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს. მაგრამ ვფიქრობ, ამ გაუგებრობას ობიექტური მიზეზებიც უნდა ჰქონდეს. პირველი ის არის, რომ „ლელოში“- და სხვა გაზეთებში დაბეჭდილი ინტერვიუები სრული სიზუსტით ვერ გადმოსცემს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. უზუსტობა ალბათ უნდა აიხსნას გაზეთების რეგლამენტით... საქმე კი ის არის, რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მომავალი თაობის დიდი სპორტისათვის მომზადების საკითხებზე, სქემატური მიდგომა ე. წ. „ადრეული სპეციალიზაციისადმი“ არასწორი და საშიშია. ჩვენ სრულიადაც არ გამოგვითქვამს აზრი, რომ ვემხრობით ბავშვების ადრეულ ჩართვას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პროფესიულ სპორტში“. ბავშვი ამ პროცესში უნდა ჩავრთოთ იმ ასაკში, რომელიც რეკომენდებულია მედიკოსების და პედაგოგების მიერ სპორტის ზოგიერთ სახეობაში მოზარდის სქესობრივი მომწიფების შემდეგ, სხვა სახეობებში — პუბერტატულ პერიოდამდე და ზოგჯერ — მცირეწლოვან ასაკშიც კი. ამ გამოცდილების საფუძველზე, თუ ბავშვი დროულად არ დაიწყებს რეგულარულ ვარჯიშს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, შეიძლება მან მომავალში სასურველ შედეგს ვერც მიაღწიოს. მაგრამ სირთულე ამაში არ მდგომარეობს. აუცილებელია მოზარდის სწორი სამედიცინო და პედაგოგიური აღზრდა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ვარჯიშისას, განსაკუთრებით — სქესობრივი მომწიფების დაწყების წინ, მის პერიოდში და შემდგომ. ამ დროს ყოვლად დაუშვებელია არასწორად დოზირებული სპორტული დატვირთვა. სწორედ ამ პერიოდში ზოგიერთი მწვრთნელის მიერ ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების იგნორირებას მივყავართ სპორტული „დღეგრძელობის“ მნიშვნელოვანი შემცირებისაკენ, მე ვიტყოდი, სპორტსმენის წვრთნის მეთოდის დამახინჯებისაკენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ მხარს კი არ ვუჭერთ სპორტში „ნაადრევ სპეციალიზაციას“, როგორც ამას ო. ვირუბოვი მიიჩნევს, არამედ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ მოზარდი სპორტსმენის აღზრდისას მისი ასაკობრივი ფიზიოლოგიური ნორმების გაუთვალისწინებლობისა. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ პერიოდში სპორტსმენის მომზადება შეუძლებელია კვალიფიციური მედიკოსის ჩარევის გარეშე, განსაკუთრებით კი — მაღალკვალიფიციური რეპროდუქტოლოგის მონაწილეობის გარეშე. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ დავეხმაროთ სპორტსმენს მაღალი შედეგების მიღწევაში, მაგრამ ექიმის და, მით უმეტეს, ექიმ-რეპროდუქტოლოგის უპირველესი ვალია, იბრძოლოს ჯანმრთელი, მომავალი თაობისათვის. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს იდეა სპორტის ზოგიერთ სახეობაში, ოფიციალური შეჯიბრებებისას ასაკობრივი ცენზის შემოღების შესახებ.

ჩვენი ინტერვიუს პასუხად გამოქვეყნებულ მასალაში დაშვებულია მეორე უზუსტობა: თითქოს მე დავადანაშაულე სპორტსახკომის ხელმძღვანელები ჩვენს წინადადებებზე პასიურ რეაგირებაში. ეს ასე არ არის, და იმედია, ამ აზრს მათ მიმართ ქათინაურად არ ჩამომართმევთ. უბრალოდ, მე პირადად ვარ მოწმე მათი საქმიანი დამოკიდებულებისა ჩვენი წინადადებებისადმი. თუ ჩვენი თანამშრომლობა ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ ჯერჯერობით არ განხორციელდა, ამის ერთ-ერთი მიზეზი სპორტსმენის დისპანსერიზაციის ფორმალურობაც არის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ კოლეგიალობის თვალსაზრისით მე არც ამ საკითხზე გამიმახვილებია გაზეთის კორესპონდენტის ყურადღება, მაგრამ რაკი ხსენებული თეზისი გამოქვეყნდა, ვადასტურებ, რომ იგი შეესაბამება ჩვენს თვალსაზრისს. მეტიც, შემიძლია პასუხი გავცე ო. ვირუბოვის შეკითხვას, თუ რა მქონდა მხედველობაში, როდესაც ვთქვი, რომ სპორტულ დისპანსერიზაციას ჩვენში ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს. მას აინტერესებს, სად „ჩვენში“ — კავშირში, რესპუბლიკაში, თუ თბილისში? თუ ეს არის ო. ვირუბოვის განაწყენების მიზეზი, ვუპასუხებ კონკრეტულად: სპორტული დისპანსერიზაცია ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს საბჭოთა კავშირში, საქართველოში და თბილისში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ადგილზე არ შეგვისწავლია დისპანსერიზაციის პროცესი და არც ვაპირებთ ამას, რადგან ჩვენი ფუნქცია ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ როგორ შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ ჩვენი არაერთი წინადადება—უანგაროდ, ყოველგვარი პირობების გარეშე დავხმარებოდით დისპანსერებს მაღალკვალიფიცირებული სპორტსმენების მომზადებაში — უპასუხოდ დარჩა. ეს მაშინ, როდესაც დოცენტ ო. ვირუბოვისათვის ალბათ კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე სპორტში და, მით უმეტეს, ქალთა სპორტში, წარმატებების მოპოვება მედიკოსის ჩარევის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

**არჩილ ხომასურიძე,**
**ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

**რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა სპორტში მოზარდის სავარჯიშოდ ხელსაყრელი ასაკის დადგენის შესახებ, ცხარე კამათი გამოიწვია ორ სპეციალისტს შორის, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა, ერთი შეხედვით, შესამჩნევი არ ყოფილა: როგორც ოთარ ვირუბოვი, ისე არჩილ ხომასურიძე თავის ბოლო წერილში, ძირითადად იმას ამტკიცებენ, რომ სპორტსმენის ნაადრევი სპეციალიზაცია მიზანშეწონილი არ არის. ამასთან ა. ხომასურიძე თვლის, რომ პირველ წერილში მისი აზრი ზუსტად არ არის გადმოცემული და ამას გაზეთის რეგლამენტით ხსნის. შეიძლება ამას დავეთანხმებოდით, ერთი დეტალი რომ არა: ავტორი იქვე, პირველ აბზაცში ამბობს, რომ ბავშვი „პროფესიულ სპორტში“ შეიძლება ჩაირთოს სხვადასხვა პერიოდში, ზოგჯერ — მცირეწლოვან ასაკშიც კი.**

**რაც შეეხება საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების კრიტიკას იმის გამო, თითქოს იქ „სპორტსმენთა შემოწმებას ფორმალური ხასიათი აქვს, ავტორი ალბათ მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ შემოწმებები ექიმ-რეპროდუქტოლოგის მონაწილეობის გარეშე ტარდება. ასეთი სპეციალისტის დახმარება, რასაკვირველია, უფრო გაალრმავებდა სპორტსმენთა შემოწმებას, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ დისპანსერების დადანაშაულება ფორმალობაში (თანაც შეუმოწმებლად) მხოლოდ იმის გამო, რომ ექიმ-რეპროდუქტოლოგი არა ჰყავთ, მართებული არ არის.**

**საერთოდ კი მადლობას ვუხდით ა. ხომასურიძეს და ო. ვირუბოვს კამათში მონაწილეობისათვის. მოზარდ სპორტსმენთა სწორად აღზრდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ჩვენი სპორტის, ისე ჩვენი ახალგაზრდების მომავლისათვის და ამ პრობლემის ირგვლივ გამოთქმული ყველა კომპეტენტური აზრი სასარგებლოა.**

# ზეიმიც ასეთი უნდა!

**არქიტექტორთა ოცდამეათე საიუბილეო სპარტაკიადა**



**რაც** გინდა თქვით, და სპორტული შეჯიბრება თავის პირდაპირ დანიშნულებასთან ერთად, დიდი ზეიმიცაა და სანახაობაც. ამ მხრივ სწორედ რომ მისაბაძია თბილისის საპროექტო ორგანიზაციების ზამთრის ტრადიციული სპარტაკიადები.

14 საპროექტო ორგანიზაციის 130-მდე წარმომადგენელი შეიკრიბა ბაკურიანში თავის საიუბილეო, XXX სპარტაკიადაზე. თბილისის ალკკ საქალაქო კომიტეტის თასისთვის მებრძოლთ ოთხ სახეობაში უნდა გამოეცადათ ძალა — სპეციალურ სლალომში, სწრაფდაშვებაში, სათხილამურო რბოლაში (3 და 5 კილომეტრი) და ამანათრბენში.

სპარტაკიადის ალმის საზეიმო აღმართვის შემდეგ, რომელიც ტრადიციულად „მშენებლის“ ბაზის ტერიტორიაზე მოხდა, ყველანი „ტატრაპომას“ და იმერლების ველზე განლაგებული ტრასებისაკენ დაიძრნენ. ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საინტერესო ბრძოლა უძლიერესის სახელისათვის, რომელიც მოიპოვეს ზოია არობელიძემ, ქეთევან ბოკერიამ, ნელი ქობულაშვილმა, კოტე და ზაზა იაშვილებმა, გიორგი კარტოზიამ, ვალერიან გედევანიშვილმა და ზურაბ ნიკოლაიშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში ფავორიტად თავიდანვე „საქქალაქმშენსახპროექტის“ (დირექტორი გიორგი ანდრონიკაშვილი) სპორტსმენები ითვლებოდნენ. ასეც მოხდა — უკანასკნელი წლების ჩემპიონებმა კვლავ იზეიმეს გამარჯვება. სამაგიეროდ ერთობ სენსაციური იყო საპროექტო კანტორა „სოფლმეურნპროექტის“ (დირექტორი თემურ ყიფიანი) და „საქნიეგსის“ (დირექტორი გიორგი ჩოგოვაძე). ახალგაზრდული კოლექტივების მიერ მეორე და მესამე ადგილების მოპოვება „საქსახწყალპროექტისა“ (დირექტორი გეიდარ ფალავანდიშვილი) და „საქსოფლმშენსახპროექტის“ (დირექტორი ზურაბ ჩიტაიშვილი) გამოცდილი კოლექტივების სპორტსმენები შესაბამისად მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

...ქების ღირსნი არიან მხატვარი არქიტექტორები ნუგზარ კაციტაძე და ბესარიონ პაპიაშვილი, რომლებმაც გემოვნებით შესრულებული, მეტად ორიგინალური ემბლემების, მედლების (სამივე ხარისხის) სიგელებისა და სუვენირების ესკიზები დაამზადეს ტრადიციული სპარტაკიადისათვის. და ბოლოს, არ შეიძლება თბილი სიტყვა არა ვთქვათ საორგანიზაციო საბჭოს წევრებზე — აკაკი თუშიშვილზე (ფიზკულტურის მეთოდისტი), გივი მალალაშვილზე (განყოფილების უფროსი), ლალი ხინჩაგაშვილზე (წამყვანი ინჟინერი), აგრეთვე საქართველოს მშენებელთა და საშენი მასალების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ საბჭოზე (თავმჯდომარე ადერკინ კოპლატაძე), რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი საიუბილეო სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებას.

**ჯუმბერ სარიშვილი,**
**არქიტექტორი.**

**მეზობელ რაიონებში**

თერჯოლიდან და ზესტაფონიდან „ლელოს“ კორესპონდენტი ჯემალ მახათაძე გვატყობინებს:

## არმიაში გაწვევის წინ

წვევამდელთა თერჯოლის სარაიონო სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების ახალგაზრდები. სპარტაკიადის პროგრამაში იყო ლერძზე მიზიდვა, პნევმატური იარაღის სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, რბენა 100 მეტრზე, კროსი 3000 მეტრზე და ცურვა.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. 144-ე პროფტექნიკური სასწავლებელი; 2. დოსააფის ავტოსკოლა; 3. 99-ე პროფტექნიკური სასწავლებელი.

პირად ჩათვლაში ყველაზე უკეთ გამოვიდა ზაზა მალალურაძე, მეორე იყო გია ნებიერიძე (ორივე — 144-ე პროფტექნიკური სასწავლებელი), ხოლო მესამე — ზაზა გუმბარიძე (დოსააფის ავტოსკოლა).

## სტუდენტური დღეების პროგრამით

**ამ** დღეებში ზესტაფონში სტუმრად იყო თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, ზოოვეტერინარული, თბილისის სამედიცინო და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტების 250-ზე მეტი სტუდენტი. მათ აქ სტუდენტური დღეები გამართეს და მინიფეხბურთში შეჯიბრებაც მოაწყვეს. ასპარეზობაში ბადალი არ ჰყავდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს, რომლებიც 2 გუნდით გამოვიდნენ და პირველი ორი ადგილი მათვე დაიკავეს.

## ფინიშის სწორზე

**ბრიუსელში** გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის“ გათამაშება. I ეტაპის XV ტურში ვალერი სალოვმა დაამარცხა რა იასერ სეირავანი, დაეწია ლიდერს მსოფლიოს ექსჩემპიონს ანატოლი კარპოვს, რომელიც თავის მხრივ დაუზავდა დიულა საქსს.

XV ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ნანი-ვინანტსი — 1:0, კორჩნოი-ნოგეირასი — 1:0, ლიუბოევიჩი-ბელიავსკი — 0,5:0,5, სპილმენი-პორტიში — 0,5:0,5, ნიკოლიჩი-ტალი — 0,5:0,5. გადაიდო სოკოლოვ-ტიმანის პარტია.

15 ტურის შემდეგ კარპოვს (14-დან) და სალოვს (15-დან) 9,5-9,5 ქულა აქვთ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დინამო“ (მინსკი) — „ზენიტი“ 1:1 (1:1).** ბურთები გაიტანეს ლენინგრადელმა აფანასიევმა და მინსკელმა კისტენმა.

გააფრთხილეს „ზენიტის“ ფეხბურთელი ტიმოფეევი.

დუბლიორები — 0:1.

**„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 0:0.** გააფრთხილეს მოსკოველი ფეხბურთელები ხიდიატულინი და შალიმოვი, აგრეთვე, დნეპროპეტროვსკელი პუჩკოვი.

დუბლიორები — 0:1.

**„კაირატი“ — „დინამო“ (კიევი) 0:1 (0:0).** გოლი 72-ე წუთზე გაიტანა პროტასოვმა.

დუბლიორები — 2:1.

**„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1 (0:0).** მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა პროციუკმა.

დუბლიორები — 1:3.

**„ლოკომოტივი“ — „ჟალგირისი“ 2:2 (0:1).** პირველი ორი ბურთი „ლოკომოტივის“ კარში გაიტანა ვილნიუსელმა კვილიუნასმა, მატჩის დასასრულს ანგარიში გაათანაბრეს გორკოვმა და გურინოვიჩმა.

დუბლიორები — 3:0.

**„მეტალისტი“ — „ტორპედო“ 1:1 (0:0).** გოლები: კოზხოვი („ტორპედო“), მოროზოვი („მეტალისტი“). ეს ბურთები გავიდა მას შემდეგ, რაც ხარკოველმა ბურიაკმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. (დარტყმა მოიგერია ტორპედოელთა მეკარე სარიჩევმა).

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, თ. ლაცაბიძე, გ. სეფიაშვილი (ყველა — თბილისი).

აღსანიშნავია, რომ ხარკოველთა რიგებში გამოდის სოხუმელი ფეხბურთელი რ. ხაგბა. გუნდს კვლავ დაუბრუნდა გ. აჯოევი.

დუბლიორები — 0:0.

● **საინტერესოა** აღინიშნოს, რომ ბოლო 9 მატჩში მასპინძლებმა მხოლოდ ერთი მოიგეს, 4 წააგეს და ამდენივე ფრედ დაამთავრეს. ეს იშვიათი მოვლენაა ჩვენს ფეხბურთში. გარდა ამისა, ამ შეხვედრებში გატანილი 15 ბურთიდან მხოლოდ 6 ეკუთვნის მასპინძლებს და 9 — სტუმრებს.

● **საუკეთესო** ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი გ. გურული, რომელმაც 7 ბურთი გაიტანა, აქედან ექვსი — 11-მეტრიანებით. ლენინგრადელ ს. დმიტრიევს ერთი ბურთით ნაკლები აქვს გატანილი.

● **ხულ** წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებიდან 106 ბურთია გატანილი. საშუალო შედეგიანობა 2,21 გოლს უდრის.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობა

**მდგომარეობა 21 აპრილისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 9 |
| „დინამო“ კ. | 6 | 4 | 1 | 1 | 12-8 | 9 |
| „სპარტაკი“ | 6 | 4 | 0 | 2 | 16-8 | 8 |
| „დინამო“ მ. | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 8 |
| „ჟალგირისი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 16-5 | 8 |
| „დინამო“ თბ. | 6 | 3 | 2 | 1 | 10-10 | 8 |
| „ჩერნომორეცი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| „ზენიტი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| „ლოკომოტივი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 13-4 | 6 |
| „დნეპრი“ | 6 | 2 | 0 | 4 | 8-11 | 4 |
| „მეტალისტი“ | 6 | 1 | 2 | 3 | 10-9 | 4 |
| „კაირატი“ | 6 | 1 | 2 | 3 | 4-12 | 4 |
| „შახტიორი“ | 6 | 1 | 1 | 4 | 4-15 | 3 |
| „არარატი“ | 4 | 0 | 3 | 1 | 3-8 | 3 |
| „დინამო“ მნ. | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 2 |
| „ნეფთჩი“ | 4 | 0 | 0 | 4 | 0-9 | 0 |

### ცვლილებები კალენდარში

**სსრ კავშირის** 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის მოხდა ცვლილებები.

თბილისის „დინამო“ ბაქოში „ნეფთჩისთან“ ითამაშებს არა 24, არამედ 23 აპრილს.

ჩემპიონატის XI ტურის მატჩები 27 მაისიდან გადმოიტანეს 22 მაისისთვის, ხოლო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩები 23 მაისიდან გადატანილია 29 მაისისთვის.

22 მაისს კიევის „დინამო“ თავის მინდორზე მიიღებს „ლოკომოტივს“, ხოლო „სპარტაკი“ მოსკოვში შეხვდება „არარატს“.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის შეხვედრები.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი).** გოლები: სიუკაევი, კიკნაძე („მეტალურგი“), სევასტოპულო („მაღაროელი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. ქველაძე („მაღაროელი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: ხუცურაული, გამყრელიძე („არმაზი“), ოსაძე, მინდიაშვილი („დურუჯი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: ჭეჭელაშვილი, ხორგუაშვილი-2 („ქართლი“), კახოიძე („ბახტრიონი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. გომელაური („ბახტრიონი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „სულორი“ (ვანი) 1:2. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი).** გოლები: ბოსტანჯიანი („დინამო“), პაიკიძე, დვალიშვილი („სულორი“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ჭუბაბრია, ოდიშარია („სალხინო“), რეხვიაშვილი, ჯაგოვი („მადნეული“).

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი).** გოლები: არსენიძე, კანკია („მეშახტე“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ივერია“ (ხაშური) 1:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: კერესელიძე („შადრევანი“), ხარაზიშვილი („ივერია“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: ჯანელიძე („ამირანი“), ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

**„კოლხეთი“ (ხობი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: შიოლაშვილი, ზ. მელია, ე. გვასალია („კოლხეთი“), რობაქიძე („საპოვნელა“).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).**

განზრახ ბურთის გადაგდებისთვის გააფრთხილეს ბ. ცირდავა. სასტვენის შემდეგ უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. იოსელიანი („ეგრისი“), ხოლო მსაჯთან კამათისთვის — გ. ჩიქობავა („ეგრისი“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).** გოლები: კვირტია („სქური“), მარეხაშვილი (ფიზკ. ინსტ.).

### მსაჯთა რეესტრი

**23-24 აპრილი. VI ტური.**

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სქური“ (წალენჯიხა). ე. გვარამაძე, მ. ფოლადაშვილი ა. ბეჟიაშვილი. „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). ი. კანდელაკი, ზ. დარჩია, ო. გუნთაძე, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მეშახტე“ (ტყიბული). რ. ტალიაშვილი, ვ. ხეჩოიანი, ა. შილაკაძე. „ივერია“ (ხაშური) — „ქართლი“ (გორის რ-ნი). გ. კალანდია, ს. კვარაცხელია, რ. ფარცვანია, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „შადრევანი“ (წყალტუბო). ა. კოკაია, რ. ვერულაშვილი, ხ. ხეჩუაშვილი, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „არმაზი“ (მცხეთა). ვ. ხეჩოიანი, რ. ტალიაშვილი, ა. შილაკაძე, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). ე. გვარამაძე, ა. ბეჟიაშვილი, მ. ფოლადაშვილი, „სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი). მ. კობიაშვილი, ნ. კილაძე, თ. კურტანიძე, „დინამო“ (გაგრა) — „დინამო“ (ზუგდიდი). ვ. ეჯიბია, დ. გვაზავა, დ. რეხვიაშვილი; „მადნეული“ (ბოლნისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია), უ. ფურცელაძე, ა. ჟიჟიაშვილი, ა. მანუკიანი; ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბ.) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). ა. კიკაბიძე, ბ. თოფურია, ვ. ალიევი.

### მეორე ჯგუფი

**III ტური**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი.** ასს (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:1, „თორი“ (ბორჯომი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:0, „არაგვი“ (დუშეთი) — სპი „დინამო“-3 (თბილისი) 3:1, „აბული“ (ახალქალაქი) — სსი (მუხრანი) 1:1, „სამგორი“ (გარდაბანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:1, „კახეთი“ (თელავი) — „მეფრინველე“ (კასპი) 4:1, „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „ვარძია“ (ასპინძა) 4:0.

**დასავლეთი ქვეჯგუფი.** „დვაბზუ“ (მახარაძე) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 2:0, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „დარჩელი“ (ზუგდიდი) 1:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — ხდკ (სამტრედია) 3:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 3:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — სპი (ქუთაისი) 1:0, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „მამისონი“ (ონი) 2:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მზიური“ (გალი) 0:2.

### მესამე ჯგუფი.

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი.** „მეტალურგი“-2 (რუსთავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:2, „ნაფარეული“ (თელავის რ-ნი) — „სინათლე“ სპორტინტერნატი (თბილისი) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 4:1, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — სპი (თბილისი) 1:3, „მარაბდა“ (კოდა) — „მიონი“-35 (თბილისი) 2:3, „განთიადი“ (დმანისი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 2:1, „თუშეთი“ (ახმეტის რ-ნი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:0.

**ცენტრალური ქვეჯგუფი.** „ბაგიათი“ (ჯავა) — „[illegible]“ (ბორა) 1:1, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 0:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 6:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 4:0, „ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 1:1, „ფეიქარი“ (ხაშურის რ-ნი) — „ორპირი“ (ტყიბული) 0:0.

**დასავლეთი ქვეჯგუფი.** „ალიონი“ (გალი) — „ბეთლემი“ (ქედა) 1:0, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 2:4, „განთიადი“ (ცხაკაია) — „მელექედური“ (მახარაძის რ-ნი) 1:0, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „კოლხიდა“ (ქუთაისი) 1:0, „ზანა“ (აბაშა) — „კახაბერი“ (ხელვაჩაური) 1:2, „სპარტაკი“ (ბათუმი) — „ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 3:0.

აღსანიშნავია, რომ გეგეჭკორსა და წალენჯიხაში არ გამოცხადდა მატჩების მსაჯი-ინსპექტორი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი). 17 აპრილს სიღნაღში სამსაჯოდ არ გამოცხადდა თბილისელი თ. კურტანიძე.

იმის გამო, რომ ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ გუნდის ფეხბურთელი ქვილითაია არ გამოცხადდა მახარაძის „მერცხალის“ გუნდში, რომელიც II ლიგის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობს, დებულების თანახმად მას უფლება აღარა აქვს ითამაშოს „ჩხოროწყუს“ გუნდის შემადგენლობაში.

გაითვალისწინა რა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა, სოხუმის „სუბტროპიკი“ საპატიო მიზეზით კვლავ დაუშვეს რესპუბლიკურ გათამაშებაში. I ტურის მატჩში გალის „ალიონთან“ გამოუცხადებლობის გამო „სუბტროპიკს“ წაგება ჩაეთვალა.

# ვნებათაღელვა ფეხბურთს არ ამშვენებს

**რედაქციაში** ხშირად მოდის წერილები, სადაც მკითხველები გვთხოვენ მეტი ყურადღება დავუთმოთ საქართველოს საფეხბურთო პირველობას, გამოვაქვეყნოთ ზოგიერთი მატჩის ვრცელი ანგარიში, ვისაუბროთ გუნდების წვლილზე ქართულ ფეხბურთში და საერთოდ დავანახოთ რას წარმოადგენს ესა თუ ის გუნდი. საზოგადოებრივი აზრი რედაქციამ გაითვალისწინა. ამას წინათ „ლელოს“ ფურცლებზე ვრცლად ვისაუბრეთ ბოლნისის „მადნეულისა“ და ხაშურის „ივერიის“ მატჩზე, რომელიც ბოლნისში გაიმართა. დღეს გთავაზობთ ზესტაფონის „მეტალურგისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ შეხვედრის ანგარიშს და წარმოგიდგენთ ამ გუნდების სავიზიტო ბარათს. საფეხბურთო სეზონის დამთავრებამდე კი ჩვენს გაზეთში ყველა გუნდს წარმოგიდგენთ. მაშ ასე: „მეტალურგი“ — „მაღაროელი“.

ეს მატჩი ზესტაფონში გაიმართა. მეზობლები გათამაშების ცხრილშიც გვერდი-გვერდ იმყოფებიან. მათი შეხვედრები ყოველთვის დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. არც ამ ტურის მატჩი იყო გამონაკლისი.

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ თამაშის ინსპექტორად მიავლინა ვეტერანი მსაჯი ვ. გვარჯალაძე, მსაჯობდა ქუთაისელ არბიტრთა ბრიგადა: მ. მაღლაფერიძე, ვ. შელია და პ. დოგრაშვილი. არბიტრად მ. მაღლაფერიძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან ეს ვერ შეძლო და ამის შესახებ სამსაჯო ოთახში ამცნო მატჩის ინსპექტორს. მაღლაფერიძის შეცვლა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ვ. შელიას დაავალეს. საჭირო შეიქმნა გვერდითი მსაჯის გამოძებნაც. მალე გამოირკვა, რომ თამაშს ადგილობრივი მსაჯი მ. კვინიკაძე მოემსახურებოდა. ასეთ თამაშზე ადგილობრივი მსაჯის დანიშვნა, რა აუცილებლობითაც არ უნდა იყოს განპირობებული, მაინც არ არის სასურველი. ვნებათაღელვა მთელი მატჩის განმავლობაში არ დამცხრალა, ამას დაემატა მსაჯების შეუთანხმებელი მოქმედებაც. პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ორივე გუნდის ფეხბურთელებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. 41-ე წუთზე სიუკაევმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო და პირველი ნახევარი „მეტალურგის“ გამარჯვებით დასრულდა — 1:0. მეორე ნახევარში ჭიათურელთა შეტევები მომძლავრდა, ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს მარჯვნიდან ჩამოწოდებულ ბურთს სევასტოპულომ თავით შეუცვალა მიმართულება და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ამის შემდეგ ორივე გუნდის შეტევები უფრო სახიფათო გახდა, იმატა უხეშობამაც. მსაჯმა შეკამათებისთვის ჭიათურელ ქველაძეს ყვითელი ბარათი უჩვენა. მეორე ტაიმის მიწურულს „მაღაროელის“ კარში 11-მეტრიანი დარტყმით კიკნაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა — 2:1.

ჩვენ აქ არ ჩავერევით მსაჯის ან მატჩის ინსპექტორის კომპეტენციაში, მაგრამ არაპრინციპულობა რომ აშკარა იყო, ეს ცხადია. ახალგაზრდა არბიტრ ვ. შელიას, ბევრად უფრო რთულ მატჩებშიც გამოუჩენია თავი პრინციპულობით, იგი კარგად ერკვევა მსაჯობის ნიუანსებშიც, მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია შეხვედრის მიწურულს მისი უმართებულო მოქმედების არსი — თუ როგორ დატოვა მან უყურადღებოდ მინდორზე გამართული მუშტი-კრივი. სტადიონზე მყოფ წესრიგის დამცველთა კარგი ორგანიზაცია და სიფხიზლე რომ არა, ვინ იცის როგორ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს მეზობელი რაიონების გულშემატკივრები.

ახლა კი წარმოგიდგენთ ჭიათურის „მაღაროელისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ მოკლე სავიზიტო ბარათებს. **ჭიათურის „მაღაროელი“:** გუნდი 60-იან წლებში გამოდიოდა საკავშირო პირველობის „ბ“ კლასში. მეორე წარმატება გუნდს 1976 წელს ჰქონდა, როცა საქართველოს ჩემპიონატში „მაღაროელმა“ პირველი ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის 7 საუკეთესო გუნდთან ერთად მონაწილეობდა საკავშირო პირველობის II ლიგაში. მომდევნო წლებში „მაღაროელი“ არასტაბილურად თამაშობდა, მას საქართველოს პირველობის I ჯგუფის დატოვებაც კი მოუხდა. 1987 წელს ოთხთა გადასასვლელ ტურნირში „მაღაროელმა“ ახმეტის „ბახტრიონთან“ ერთად I ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. გუნდი მთლიანად ადგილობრივი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23 წელია. გუნდის მწვრთნელები არიან ავთანდილ თაბაგარი და ალეკო მესხი. თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში მაღაროელები სხვადასხვა დროს თამაშობდნენ ზ. ბარათაშვილი, მ. მაღრაძე, ზ. წერეთელი, რ. შელია; დ. გოგოლაძე; ლანჩხუთის „გურიაში“ — გ. სევასტოპულო; ბათუმის „დინამოში“ თამაშობს ლ. ბარათაშვილი, თბილისის „დინამოს“ დღევანდელ შემადგენლობაში კი გ. გურული.

**ზესტაფონის „მეტალურგი“:** გუნდის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 24 წელია. წლევანდელი გათამაშება „მეტალურგმა“ ცუდად დაიწყო, მწვრთნელები აკაკი ზარნაძე და გელა ტოგონიძე წარუმატებელ სტარტს ზოგიერთი ფეხბურთელის საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევით ხსნიან. წლევანდელ სეზონში ზესტაფონელები სხვადასხვა მიზეზებით გამოემშვიდობნენ 5 მოთამაშეს. ზესტაფონის „მეტალურგი“ ადგილობრივი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, გუნდში შევსება ადგილობრივი სპორტსკოლებიდან მოდის. ქალაქში მუშაობს 12 სპეციალიზებული საფეხბურთო ჯგუფი, გუნდის საწვრთნელი ბაზა სოფელ ცხრაწყაროში მდებარეობს. რესპუბლიკაში იშვიათია იმდენი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, რამდენიც ბოლო წლებში ზესტაფონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების თაოსნობით აშენდა. არ შეიძლება ყოველივე ამან გარკვეული როლი არ შეასრულოს რაიონის სპორტული ცხოვრების შემდგომ აღორძინებაში.

**ზაზა კახაძე.**
„ლელოს“ სპეც. კორ.
ზესტაფონი.

## I ლიგა

**19 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IV ტურის მატჩები.**

საქართველოს წარმომადგენლები სტუმრად კვლავ დამარცხდნენ. ლანჩხუთის „გურიამ“ სტავროპოლში წააგო „დინამოსთან“ — 1:2, ხოლო ბათუმის დინამოელებმა ორჯონიკიძეში ანგარიშით 0:1 განიცადეს მარცხი ადგილობრივ „სპარტაკთან“ შეხვედრაში.

მომდევნო, V ტურში ჩვენი გუნდები შინ ღებულობენ მეტოქეებს. „გურია“ შეხვდება სიმფეროპოლის „ტავრიას“, ხოლო ბათუმის „დინამო“ მიიღებს იაროსლავლის „შინიკს“.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 3:0, ცსკა — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 21 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 8 |
| „დინამო“ სტ. | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| „გეოლოგი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| „კუზბასი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| „როტორი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| „პამირი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 9-5 | 5 |
| ასკ რ. | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 5 |
| „ტავრია“ | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 5 |
| „სპარტაკი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 5 |
| „კოტაიკი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 4-8 | 4 |
| „როსტსელმაში“ | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 4 |
| „შინიკი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| „კოლოსი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 3 |
| „ყუბანი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 3 |
| „ფახთაქორი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 3 |
| „ზვეზდა“ | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| ასკ „კარპატი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 2 |
| „გურია“ | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 2 |
| „ზარია“ | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| „დაუგავა“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| „მეტალურგი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 0-7 | 1 |
| „დინამო“ ბ. | 4 | 0 | 0 | 4 | 0-4 | 0 |

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# ვეტერანი მაგალითს იძლევა

ბასულ შაბათს და კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**პირველი ჯგუფი.** ქუთაისის კალათბურთელები მტკიცედ ინარჩუნებენ ლიდერობას. მორიგი შეხვედრები მათ თბილისის „დინამოს" ახალგაზრდულ კოლექტივს მოუგეს. თანაც ორივე მატჩში ლიდერის უპირატესობა უდავო იყო. პირველ დღეს ქუთაისის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 90:58 (54:32), მეორე დღეს კი 127:93 (66:38).

ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები ბათუმის გუნდს მასპინძლობდნენ. პირველი მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუდენტებმა მოიგეს 104:73 (53:38). საფიქრებელი იყო, რომ ისინი უპირატესობას მეორე შეხვედრაშიც მიაღწევდნენ, მაგრამ ბათუმელმა კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს. მეტსაც გეტყვით, პირველი ტაიმის შემდეგ სტუდენტთა მდგომარეობა კრიტიკული ჩანდა. ბათუმელები წინ იყვნენ 12 ქულით (47:35).

ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა შესვენების შემდეგ და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო თამაშის გათანაბრება. მატჩისთვის განკუთვნილი ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 89:89. და მხოლოდ დამატებით მინიტაიმში, უმთავრესად „გრძელი სკამის" წყალობით, სტუდენტებმა წარმატებას მიაღწიეს — 96:93. და მაინც, ამ შეხვედრაში ქებას სწორედ ბათუმელები იმსახურებენ. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ შარშანდელთან შედარებით გუნდი უფრო დამაჯერებლად და სტაბილურად თამაშობს.

ანალოგიურ სიტუაციაში მიმდინარეობდა მატჩი გორისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა შორის. სტუდენტებმა პირველი შეხვედრა მხოლოდ 9 ქულით მოიგეს — 82:73 (47:31), მეორე მატჩში კი უძლიერესის გამოსავლენად დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. გაიმარჯვა თბილისის გუნდმა, მაგრამ მძიმე და შეუპოვარი ბრძოლის ფასად — 78:76 (43:25, 69:69).

ამ ორი შეხვედრის მაგალითზე ნათლად ჩანს რესპუბლიკური ჩემპიონატის ახლებური სისტემის მადლი. შარშან ტურნირის მონაწილენი მკვეთრად იყვნენ გამიჯნული ლიდერებად და აუტსაიდერებად. ახლა ეს სხვაობა მეტ-ნაკლებად წაიშალა და პერიფერიის გუნდები მზარდ ტექნიკურ ოსტატობას ავლენენ. ახალი სისტემის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 12 | 11 | 1 | 1074-863 | 23 |
| უნივ. (თბ.) | 10 | 9 | 1 | 969-761 | 19 |
| ფიზ. ი. (თ.) | 10 | 8 | 2 | 1002-758 | 18 |
| ბათუმი | 12 | 4 | 8 | 865-1041 | 16 |
| გორი | 12 | 2 | 10 | 920-1059 | 14 |
| „დინ." (თ.) | 12 | 0 | 12 | 985-1333 | 12 |



**მეორე ჯგუფი.** აქ ერთი მატჩი არ შედგა. თელავის გუნდი არ ჩამოვიდა თბილისში „სინათლესთან" სათამაშოდ და მას დამარცხება ჩაეთვალა. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე. კომისიის სხდომის ანგარიშს გაზეთის მომდევნო ნომერში დავბეჭდავთ.

სხვა ორი მატჩი ამ ჯგუფშიც მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. თბილისის „მართვემ" და სოხუმმა ქულები თანაბრად გაიყვეს. სამწუხაროდ, პირველი მატჩის ბოლო წუთებზე მოხდა ინციდენტი, რომელიც სპორტულ-ტექნიკური კომისიის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა, მაგრამ ამის შესახებ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საუბარი გაზეთის მომდევნო ნომერში გვექნება. დღეს კი ქებით გვინდა მოვიხსენიოთ სოხუმელთა გუნდის მოთამაშე მწვრთნელი ვალერი ჯგერენაია, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მოვალეობას და მეორე შეხვედრაში კოლექტივის წარმატება მნიშვნელოვანწილად სწორედ თავისი აზრიანი თამაშით განაპირობა. საქმე მხოლოდ ის როდი გახლავთ, რომ ვეტერანმა გუნდს 48 ქულა შესძინა, თუმცა არც ესაა უმნიშვნელო ფაქტი. ჯგერენაია ამ დღეს კოლექტივის ნამდვილი ლიდერი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით და ახალგაზრდობასაც კარგი გაკვეთილი ჩაუტარა. სოხუმმა ეს შეხვედრა მოიგო ანგარიშით 84:65 (44:30), აი, პირველ მატჩში კი უპირატესობა „მართვეს" მხარეს იყო — 87:86 (46:40).

და კიდევ ერთი ორთაბრძოლის შესახებ, რომელიც რუსთავში ჩატარდა. ადგილობრივმა კალათბურთელებმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს უმასპინძლეს და, მარცხის მიუხედავად, ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. სტუდენტებმა ორთავე შეხვედრა მოიგეს — 74:65 (42:20) და 87:68 (41:31).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სინ." (თბ). | 12 | 11 | 1 | 1058-921 | 23 |
| სოხუმი | 12 | 8 | 4 | 1148-904 | 20 |
| სპი (თბ.) | 10 | 7 | 3 | 999-853 | 17 |
| რუსთავი | 10 | 3 | 7 | 884-897 | 13 |
| „მარ." (თბ.) | 8 | 3 | 5 | 755-646 | 11 |
| თელავი | 12 | 0 | 12 | 697-1128 | 10 |

**შენიშვნა:** შეჯიბრების დებულების თანახმად, გუნდს გამოუცხადებლობისთვის დამარცხება ენიჭება და ქულა არ ეწერება, ამიტომაც აქვს თელავს 12 შეხვედრის შემდეგ 10 ქულა.

## ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებები

(დასასრული)

რომელმაც 5 ქულით XI ადგილი დაიკავა და ნათია ჯანჯღავამ, მას 4,5 ქულით XII ადგილი ერგო.

* * *

**გორჯომში** 21 წლამდე ასაკის ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გათამაშდა VIII ტურის შეხვედრები, ლაშა ჯანჯღავა დამარცხდა ილია სმირინთან შეხვედრაში, ამ ტურის დანარჩენი პარტიების ტექნიკური შედეგები ასეთია: ულიბინი-კომაროვი 1:0, კამსკი-სოროკინი 1:0, დრეევი-აკოფიანი 0:1, შიროვი-შჩერბაკოვი — 0,5:0,5.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ 8 შესაძლებლიდან 6 ქულით ლიდერობს ალექსეი შიროვი, მას კვალში მიჰყვებიან ვლადიმირ აკოფიანი — 5 (8-დან), ალექსანდრე დრეევი — 4,5 (7-დან), მაქსიმ სოროკინი — 4,5 (8-დან).

ლაშა ჯანჯღავას 7 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 21 აპრილი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.45 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ცსკა — „სპარტაკი" — **20.15 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (მოსკოვი) — **22.50 (2).**

**22 აპრილი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (გადაცემა ზაპოროჟიედან) — **21.15 (2)..**

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე.**

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

მორიგი მატჩები გაიმართა ჭაბუკთა რესპუბლიკურ ტურნირშიც. გთავაზობთ ამ შეხვედრათა შედეგებს.

**პირველი ჯგუფი.** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 55:83 (31:38) და 44:89 (19:43); გორი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 71:28 (32:15) და 65:62 (30:31); ქუთაისი — „დინამო" (თბილისი) 65:63 (27:34) და 61:63 (36:37).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (თბ) | 11 | 10 | 1 | 890-646 | 21 |
| ბათუმი | 12 | 8 | 4 | 828-633 | 20 |
| გორი | 11 | 7 | 4 | 653-638 | 18 |
| ქუთაისი | 12 | 6 | 6 | 727-750 | 18 |
| უნივ. (თბ.) | 12 | 4 | 8 | 695-760 | 16 |
| ფიზ. ინს (თბ.) | 12 | 0 | 12 | 540-906 | 12 |

**მეორე ჯგუფი.** თელავის გუნდს გამოუცხადებლობისთვის. თბილისის „სინათლესთან" დამარცხება ჩაეთვალა. „მართვე" (თბილისი) — სოხუმი 118:47 (47:29) და 115:42 (48:12), რუსთავი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 68:65 (32:31) და 54:61 (19:33).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „მართვე" (თბ.) | 10 | 9 | 1 | 969 487 | 19 |
| სპი (თბილისი) | 10 | 8 | 2 | 750-645 | 18 |
| რუსთავი | 10 | 5 | 5 | 627-619 | 15 |
| „სინათ." (თბ.) | 10 | 4 | 6 | 456-534 | 14 |
| თელავი | 10 | 2 | 8 | 392-606 | 10 |
| სოხუმი | 6 | 0 | 6 | 258-461 | 6 |

საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე

# პირველი პრიზი — პირველ გუნდს



**19 აპრილს** ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გამართული საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა მატჩით დამთავრდა ოთხთა ტურნირი რეგბიში. რესპუბლიკის სპორტსახკომის პრიზის მფლობელი ამ შეხვედრამ გამოავლინა. ქვეყნის პირველი გუნდის წევრებმა მატჩის პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს ინიციატივა (27-ე წუთზე ანგარიში იყო 16:0 მათ სასარგებლოდ), სათამაშო უპირატესობა არც მერე დაუთმიათ და საბოლოოდ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 36:9. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელიც ესპანელებთან ევროპის ჩემპიონატის მატჩისთვის ემზადება, კარგი „გენერალური რეპეტიცია" გაიარა და საქართველოს სპორტსახკომის პრიზი მოიპოვა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

ერთი დღით ადრე წულუკიძეში რსფსრ-ის ნაკრებმა დაამარცხა ქუთაისის ახალგაზრდული გუნდი (30:11) და მესამე ადგილზე გავიდა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ედუარდ ტატურიანმა აღნიშნა, რომ შეჯიბრებამ, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული, გაამართლა იმედი — ხელი შეუწყო ქვეყნის ნაკრების სამზადისს მომავალი საპასუხისმგებლო მატჩის წინ.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ 23 აპრილს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ევროპის 23-ე ჩემპიონატის პირველი წრის მატჩი საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში დაიწყება 16 საათზე. გათამაშდება სპორტული ლატარია.

**თამაზ ხარაბაძე,**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

## „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა საყურადღებოდ!

**სპორტული** ლატარიების მთავარი სამმართველო ფეხბურთის მოყვარულებს იწვევს ლატარია „სპორტპროგნოზის" სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც შედგენილია ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მატჩებზე. ჩემპიონატი 1988 წლის ივნისში გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატში მონაწილე რვა ქვეყნის გუნდი ორ ჯგუფადაა დაყოფილი:

**I ჯგუფი — გფრ, იტალია, დანია, ესპანეთი;**

**II ჯგუფი — ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, სსრ კავშირი.**

სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ბილეთების შევსება ხდება ისევე, როგორც „სპორტპროგნოზის" სხვა ტირაჟებში. ბილეთის ვარიანტების შესაბამის უჯრედებში სპეცტირაჟის მონაწილემ უნდა აღნიშნოს შეხვედრის სავარაუდო შედეგი (წყვილში პირველი გუნდის გამარჯვება, ფრე, წყვილში მეორე გუნდის გამარჯვება). ამასთან, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ტირაჟის ნომრის მისანიშნებელ უჯრედებში ნომრის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს ორი ასო „CT".

სპეციალური ტირაჟისთვის შევსებული ბილეთების მიღება დაიწყება 25 აპრილიდან და შეწყდება ლატარია „სპორტპროგნოზის" 24-ე ტირაჟის ბილეთების მიღების დამთავრებასთან ერთად. ბილეთების მიღებისა და მათი „ბვ" ნაწილების „სპორტლოტოს" ყუთებში ჩაყრის კონკრეტული ვადები მითითებულია ბილეთების მიმღებ პუნქტებსა და „სპორტლოტოს" ყუთებზე.

**1988 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის სპეციალური ტირაჟის**

**პროგრამა**

**(გფრ, 11-25 ივნისი)**

11 ივნისი (შაბათი)

1. **დანია — ესპანეთი** ქ. ჰანოვერი

12 ივნისი (კვირა)

2. **ჰოლანდია — სსრ კავშირი** ქ. კიოლნი

14 ივნისი (სამშაბათი)

3. **გფრ — დანია** ქ. გელზენკირხენი
4. **იტალია — ესპანეთი** ქ. მაინის ფრანკფურტი

15 ივნისი (ოთხშაბათი)

5. **ინგლისი — ჰოლანდია** ქ. დიუსელდორფი
6. **ირლანდია — სსრ კავშირი** ქ. ჰანოვერი

17 ივნისი (პარასკევი)

7. **გფრ — ესპანეთი** ქ. მიუნხენი
8. **იტალია — დანია** ქ. კიოლნი

18 ივნისი (შაბათი)

9. **ინგლისი — სსრ კავშირი** ქ. მაინის ფრანკფურტი
10. **ირლანდია — ჰოლანდია** ქ. გელზენკირხენი

21 ივნისი (სამშაბათი)

**პირველი ნახევარფინალური მატჩი**

**11. გუნდი, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი პირველ ჯგუფში — გუნდი, რომელმაც დაიკავა მეორე ადგილი მეორე ჯგუფში.** ქ. ჰამბურგი.

22 ივნისი (ოთხშაბათი)

**მეორე ნახევარფინალური მატჩი**

**12. გუნდი, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი მეორე ჯგუფში — გუნდი, რომელმაც დაიკავა მეორე ადგილი პირველ ჯგუფში.** ქ. შტუტგარტი.

25 ივნისი (შაბათი)

**ფინალური მატჩი**

**13. პირველ ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდი — მეორე ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდი.** ქ. მიუნხენი.

**შენიშვნა:** ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებში მხედველობაში მიიღება ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი.

# გალელებს თუ მიბაძავენ...

(დასასრული)

ნია, უფრო მეტი, ვიდრე მთელი რესპუბლიკის სხვა კლუბებიდან ერთად აღებული. დიახ, არის რაიონები, სადაც მხედრების შესაფერისი ცხენი არა ჰყავთ. სწორედ მათ გაუმართეს ხელი გალელებმა. მაგალითად, რუსლან კვარაცხელია ფოთელია, რომელმაც გალის კლუბის მერანით ამას წინათ წარმატებით იასპარეზა ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე, ახლა კი № 3 კონკური მოიგო და რამდენიმე საპრიზო ადგილი დაიკავა. გალელებს სხვა რაიონებიც თუ მიბაძავენ, ამით მხოლოდ ქართული სპორტის საერთო ინტერესები დარჩება მოგებული.

— ჩვენთვის მთავარია, რესპუბლიკის სპორტული ინტერესები, ამავე აზრისაა რაიონის ხელმძღვანელობა, რომელიც ყოველმხრივ გვეხმარება და მხარში გვიდგას. ახლა ბევრი რამ კეთდება, რათა გალის რაიონი ერთ-ერთი თვალსაჩინო საცხენოსნო ცენტრად იქცეს მთელს საქართველოში — გვითხრა გალის საცხენოსნო კლუბის უფროსმა მწვრთნელმა მ. ლაბაშიამ.

ამას წინათ ჭაბუკთა შორის საქართველოს პროფკავშირთა პირველობაზე, რომელიც პარალელურად ამიერკავკასიის ზონალური ასპარეზობაც იყო, გალის მხედრებმა ოთხი — I, ოთხი — II, ოთხი — III საპრიზო ადგილი და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. წარმატებაც ასეთი უნდა.

**ტექნიკური შედეგები.** საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში. **გახსნის პრიზი** (ახალგაზრდა ცხენებით) — **კონკური № 1.** 1. ბ. ნაჭყებია (ზუგდიდი), 2. ზ. ბერძენიშვილი (ჩოხატაური), 3. ო. ქოთუა (ოჩამჩირე). **კონკური № 2.** 1. ნაჭყებია, 2. ქოთუა, 3. ბერძენიშვილი. უფროსი ასაკის ცხენებით. **კონკური № 2.** 1. ო. ჯაფარიძე (ზუგდიდი), 2. დ. გაშიბაიაზოვი (თბილისი), 3. რ. კვარაცხელია (ფოთი). **კონკური № 3.** 1. კვარაცხელია, 2. ს. ზინენკო (ფოთი), 3. ჯაფარიძე. **საქართველოს თასი. კონკური № 4.** 1. ჯაფარიძე, 2. დ. ქუჩუბერია, 3. თ. ჯლარკავა (ორივე — ოჩამჩირე). **აბსოლუტური პირველობა:** 1. ჯაფარიძე, 2. გაშიბაიაზოვი, 3. რ. კვარაცხელია.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05303